572/
1974/2

1974 აგვისტო N8

ალაზანი

სადილობა

ზარიელ ჭანტურია

გვეკითხება ბანაკის
მზარეული პიმენი:
— სუფს რა ჰქვია, ბავშვებო?
— რა ჰქვია და „პირველი“.
— მაშ, „მეორე“ რაღაა?
— კატლეტი ან პილმენი.

ჯერ შევჭამე „პირველი“,
ამის მერე—„მეორე“,
მერე ისევ—„პირველი“,
მერე ისევ—„მეორე“.
ლამის გადამერიოს
მზარეული პიმენი:
— ორჯერ ჭამა ,,მეორე‘‘.
ორჯერ კიდევ ,,პირველი‘‘.

ისე, კაცმა რომ თქვას,
რაა გასაკვირველი:
ორჯერ ვჭამე ,,მეორე‘‘,
და ორჯერაც—,,პირველი‘‘.

ბოლოს ძია პიმენმა
მოგვიტანა დესერტი.
გადავულურწე მანგო და,
თვლაც დავიწყე:—,,ეს ერთი!‘‘

ნახატები მანანა მორჩილაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



12447

ნაბოლარა

მარგო თომაძე

ნახატები **მალხაზ ქუხაშვილისა**

ძალიან სუსტი იყო ნაბოლარა ბარტყი. კვერცხიდან ძლივძლივობით გამოძვრა. კისერს ვერ იმაგრებდა, თავი აქეთ-იქით უვარდებოდა. პირდაღებულს ერთთავად შიოდა. დედა ჩიტს წამდაუწუმ მოჰქონდა საზრდო. სულწასული ბარტყები ერთიმეორეს აღარ აცდიდნენ. გაუთავებლივ ჭყიპინებდნენ:

— პირველად მე.

— არა, მე.

— მე, მე!—ჭყიოდა ნაბოლარა.

— თქვე ღლაპებო, პირს დიდზე ნუ აღებთ, გაგეხევათო, — აწყნარებდა ბარტყებს დედა ჩიტი და ულუფას ყველას თანაბრად უნაწილებდა. მხოლოდ ნაბოლარას აძლევდა ზოგჯერ მეტს; იქნებ მოღონიერდესო.

როცა ბარტყები წამოიჩიტნენ და გასაფრენად ფრთები გაშალეს, ბეღურას საქმე მოემატა; ერთ წუთს რომ ჭიაღუას დასდევდა, მეორე წუთს—ხის ტოტზე შემომჯდარი შვილებს ფრენას ასწავლიდა.

ერთხელ ფრთებგაშლილ ბარტყების ცქერაში გართულ დედა ჩიტს, საიდანღაც ბიჭი წამოეპარა, კენჭი ესროლა და თავში მოარტყა. ბეღურა მიწაზე დაენარცხა. დიდხანს ეგდო გაბრუებული, როცა გონს მოვიდა, ნაბოლარას ჭყიპინი შემოესმა; და-ძმებს უხმობდა:

— ბეღურებო, ბეღურებო! საკენკი ვიშოვე, მოდით, თქვენც აკენკეთ.

— რა ქვეყანა შესძარი!—დაუტია გუგულმა,—ეგ ნამცეცი რაღა გასაყოფია, აიღე და შეჭამე!

— შენ ვინა ხარ,—შეეპასუხა ბარტყი,—დედამ გვითხრა, რასაც ღიმილით, ძმურად

[library stamp]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაიყავითო.

— შენ რომ მშიერი დარჩები!—ისევ ჩამოსძახა გუგულმა, თან ყელი მოიღერა, ფრთები შეისწორა და გასაფრენად გაემზადა. ნაბოლარამ ალმაცერად გახედა გამოკოპწიავებულ გუგულს და დაიჭყიპინა:

— ისინი რომ იშოვნიან საკენკს, მეც მაჯმევენ.

დედა ბეღურა ყურს უგდებდა ბარტყის ჭყიპინს და გული სიხარულით ევსებოდა:

— ყოჩაღ, ნაბოლარავ, ასე თავგამოდებით რომ იცავ ბეღურების წესს. გუგულის აყოლა რას გვარგია, ეგ თავის შვილებსაც სხვებს აზრდევინებს.

ნაბოლარა კი რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჭყიპინებდა:

— ბეღურებო, ბეღურებო, ჩქარა მოდით, გემრიელი საკენკი ვიშოვეო.

თოლია და ბავშვები

ლიდა სტვილია

ნახატები მანანა ებრალიძისა

— მოდი, თეთრო თოლიავ,
აგერ მწვანე მოლია.

გადმოგვჭყივლა თოლიამ:
— გოგოებო,
ბიჭებო...
მოლზე რა გავაკეთო,
ზღვაში თევზებს ვიჭერ...

ჯოხის ცხენი

თედო ბექიშვილი

აჩუ, შე მართლა ზარმაცო,
აჩუ, შე მართლა ჩანჩალავ,
აღარც წყალს დაგალევინებ,
აღარც ქერს გაჭმევ, არც ჩალას.

არც იალაღზე გაგიშვებ,
მოკლედ ჩაგიბამ აჯშარას,—
თუ არ გაქუსლავ ქარივით,
თუ არ მოირბენ გზაშარას;
აჩუ, შე მართლა ოჩანო,
აჩუ, შე მართლა ჩანჩალავ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაიდა

ნახატი ვახტანგ გულისაშვილისა

ოლღა რევეია

ნაიდა ადამიანი არ გეგონოთ,—ნაგაზია. საკუჭნაოში ცხოვრობს, დათვის ტყავზე სძინავს ხოლმე. დილით სამსახურში მიმავალ მამას უსათუოდ ჭიშკრამდე მიაცილებს, მერე ჩემს დამებს სკოლის კარამდე მიჰყვება. ყველანი რომ გაიკრიფებიან, მე და ნაიდა ნახირს მივერეკებით საძოვარზე.

ნაიდას ერთი ჩვეულება აქვს: მამაჩემის სამსახურიდან მოსვლის დრო მოაღწევს თუ არა, კუდს აპრეხს და აყეფდება, კიბეზე დაეშვება. ამ დროს მამაც შემოაღებს ჭიშკარს. გახარებული ნაიდა ხან შეახტება და ხელებს ულოკავს, ხან ჩემკენ გამოიქცევა კუდის ქიცინით.

მამა მილიციაში მუშაობს და ხანდახან სახლში გვიან მოდის ხოლმე.

ერთხელაც ასე შეაგვიანდა. დედას დიდხანს რაღაცა ეჩურჩულა, მერე ფრთხილად გააღო კარი და გარეთ გავიდა. დამაინტერესა, ამ შუაღამისას სად მიდის-მეთქი, ფანჯრიდან ჩუმად გადავიხედე და რას ვხედავ! ნაიდა მამას ფეხებთან გასწოლია და საცოდავად წკმუტუნებს. მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



დედა მალე დაბრუნდა, ნაიდა კი—არა.

მთელი დღე ჭიშკართან ვიჯექი და გზას გაგყურებდი. ცალკე მამაჩემის დარდი მკლავდა, ცალკე—ნაიდასი.

შებინდებისას, როგორც იქნა, გამოჩნდა ნაიდა: ტალახში ამოსვრილი, ენაგადმოგდებული ძლივს მოლასლასებდა. კისერზე მოვეხვიე. ძაღლმა მხოლოდ ერთხელ ამისვა ენა ხელებზე და საკუჭნაოში შელასლასდა.

ის დღე იყო და, ნაიდა პირს არაფერს აკარებდა. ხანდახან წყალს თუ მოსვლეპდა.

ერთ დღეს, სასწაული მოხდა,—ნაიდა გამოცოცხლდა; ცოტა საჭმელიც შეჭამა, ზედ წყალიც დააყოლა; აწრიალდა, წელი აითრია, ჭიშკართან მივიდა და მოლზე ჩაცუცქდა. ჭიშკარში დედა და მამა შემოვიდნენ! ნაიდა წკმუტუნით და ფორთხვით მივიდა მამასთან, ფეხები გაულოკა, მერე შეხტომა და მიალერსება მოიწადინა, მაგრამ უცებ დაიწკავწკავა, უღონოდ ჩაიჩოქა და თვალთაგან ორი დიდი კურცხალი გადმოაგდო.

მამ თავზე ხელი გადაუსვა და წასვლა დააპირა, მაგრამ ნაიდა ჯერ ფეხებში გაებლანდა, მერე ჩექმაში ჩააფრინდა და მოჰქაჩა. მამა მართლა გაბრაზდა და ძაღლს ფეხი გაჰკრა. ნაიდა აწკმუტუნდა, მაგრამ მაინც არ მოეშვა. ძაღლის წკმუტუნზე დედამ გაიხედა.

— შვილებს გაფიცებ, ნუ წახვალ, რაღაცა, ძაღლის წკმუტუნი ცუდს მეუბნება.

მამას გაეცინა. დედამ ნაიდა საკუჭნაოში შეიყვანა და კარები გადაურაზა.

ძილშიც მესმოდა ნაიდას ყეფა და წკმუტუნი.

ის იყო, ირაჟრაჟა, რომ ვიღაცამ დაიძახა.

ვიდრე ლოგინიდან ავდგებოდი, ფანჯრის ლაწანი გაისმა—ნაიდა საკუჭნაოდან გამოიჭრა.

ცუდი ამბავი მოგვიტანეს: მამა ქურდებს დაეჭრათ. დედამ ჯერ შეიცხადა, მერე ამბის მომტანს გაეკიდა. ნაიდა გულზე მივიხუტე, მაგრამ გაავებულ ძაღლს ვინ დააკავებდა! ხელიდან გამისხლტა და დედას დაედევნა.



მარი აბრამიშვილი

კითხვა -პასუხი

— რატომ აღარ მოდიხარ ჩვენსა, ბიჭო ზურია?
— მოვალ თუ გვაგვს დაბმული შენი ავი ძურია.

ლელა

ცისფერ ეკრანზე გამოჩნდა ჩვენი კოპწია ლელა,
იმღერა, ისე იმღერა,—
ტაში დაუკრა ყველამ.

სტუმარი

შაქრო სამადაშვილი

ერთხელ ნინო ვენახში გავიყოლე. მომიყვნეს ვენახის ბოლოში მარწყვი ედგა. დამწიფებული ცერის სიმხსნო მარწყვი წითლად ღუოდა. ნინოს თვალი მარწყვისაკენ გაექცა, მაგრამ სხვისას ხომ ვერ დავუკრეფდი! ბედად ღვთისავარიც გამოჩნდა, ჩვენი მომიყვნე. ღვთისავარმა ნინოს თავზე ხელი გადაუსვა, მოეფერა, მერე მარწყვი დაკრიფა, ვაზის ფოთლებზე დააგროვა და პატარა სტუმარს მიართვა.

მინ დაბრუნებისას ნინომ მითხრა:

— დათოს პაპა, ღვთისავარი, კარგი პაპა ყოფილა.

— მართალია, კარგი პაპაა!—დავუდასტურე მე.

ავად გახდა მამალი

ავთანდილ გურგენიძე

ნახატი ბესო ხიდაშელისა

აკრიახდნენ ქათმები,
ავად გახდა მამალი.
რა მოარჩენს ავადმყოფს?
— ბუს ცნობიერი წამალი.—
მიაკითხეს ბუს,
მკურნალობდა ბუზს.
რიგში იდგნენ ექიმთან,
სამკურნალოდ მისულები:
მგელი, შველი, კოდალა
და იმისი დისწულები.
ციყვი, მაჩვი, ინდაური,
აქაური, იქაური...
ერთი მტრედი, ორი ქორი,
სამად სამი მელია...
რიგში ჩადგნენ ქათმებიც,
რიგში დგომა ძნელია,
მაგრამ წესი წესია,—
მოთმინებით ელიან.
გადის ერთი, ორი, სამი,
ოთხი, ხუთი საათი...
მერე ექვსი, მერე შვიდი,
მერე რვა და ცხრა, ათი...
როცა სახლში მოტანეს
ბუს ცნობიერი წამალი,
უკვე აღარ ჭირდებოდა,
კარგად იყო მამალი.

პიონერის



ჩვენი სამშობლო

თურქმენეთი

თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა 1924 წელს.

იყოფა 4 ოლქად და 42 რაიონად.

მოსახლეობა—ორმილიონნახევრამდე კაცი.

დედაქალაქი—აშხაბადი.

უზბეკეთი

უზბეკეთის საბჭოთა სდციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა 1924 წელს.

იყოფა ცხრა ოლქად და 155 რაიონად.

მოსახლეობა—13 მილიონი.

დედაქალაქი—ტაშკენტი.

ტაჯიკეთი

ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა 1929 წელს. მანამდე, 1924 წლიდან, იგი წარმოადგენდა ტაჯიკეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას.

იყოფა ორ ოლქად (მათ შორის ერთი ავტონომიური ოლქია) და 49 რაიონად.

მოსახლეობა—სამ მილიონზე ცოტა მეტია.

დედაქალაქი—დუშანბე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაიუმ ჯანგრიყულიევი თურქმენეთი

რა ეხატია?



მე და რეჯებყულს ძაღიან გვიყვარს ნახატებიანი წიგნების თვალიერება. ერთხელაც სურათებს ვათვალიერებდ:

— ეს რა არის?—ვკითხე ერთ ნახატზე.

— ცხენია!—მიპასუხა მან.

— ეს რაღაა?

— მანქანაა.

მერე კიდევ ერთ ნახატს დავადე თითი.

— აბა, ეს რაღაა?

— აქვემი,—გვეღს ჰამს.—მომიგო მან.

თქვენ თუ მიხვდებით, რა იყო იქ დახატული?!

ჭიდან ამოღებული მთვარის ამბავი

ტაჯიკური ხალხური ზღაპარი

ერთმა ჩერჩეტმა კაცმა ჭაში მთვარე დაინახა და თქვა: კაცი არ ვიყო, თუ ეს მთვარე ჭიდან არ ამოვიღოო.

თოკს კავი გამოაბა, ჭაში ჩაუშვა და ამოქაჩა.

კავი ჭის ფსკერზე ქვას გამოედო. ჩერჩეტი მაინც ქაჩავდა და ქაჩავდა. თოკმა ვეღარ გაუძღო და გაწყდა. კაცი გუდალმა გაიშხლართა და რას ხედავს: მთვარე ცაშია!

„ამაოდ არ მიშრომია,—გაიფიქრა ჩერჩეტმა,—მთვარე ჭიდან ამომიგდია და ახლა ეგერ, თავის ადგილსაა!“

აბდულაღიკ ირისოვი (უზბეკეთი)

ჰასანა და ჰუსანა

ერთ კატას ტყუპი ვაჟი ჰყავდა—ჰასანა და ჰუსანა. სიარულითაც ერთმანეთს ჰგავდნენ და ღაპარაკითაც ერთნაირად ღაპარაკობდნენ.

ჰასანა ჩხუბის თავი იყო, პატარებს ჩაგრავდა, სათამაშოებს არომევდა. ჰუსანა კი—წყნარი და პატარების ქომაგი: ატირებულებს სათამაშოებს უბრუნებდა.

ბავშვებმა ძმებს ყინყლა და ქომაგა შეარქვეს.

თქვენ როგორ ფიქრობთ: რომელი ძმა უფრო ეყვარებოდათ, ჰასანა თუ ჰუსანა?!

ფეხბურთი

ჯ. ბოგიაშვილი

სტადიონთან უთენია
ატუდა ერთი ქაქანი,
ვინ ტრამვაით მოხრიგინდა,
ვინ მობრძანდა მანქანით.
შესასვლელში შეიპარა
თაგუნია ზაქარია,
შაშვი თედო, ჩხიკვი მათე,
სუყველანი აქ არიან.
სტადიონი გაიშედა,
ვილაც ჩხავის:—ვაი, დედა!—
ამ ბაჯბაჯამ გამაგიჟა,
ფეხი თავზე დამაბიჯა!

— ზღარბო, რატომ მეკვრები,
ნუ დამჩხვლიტე ეკლებით.—
ტირის კოტა ბაჭია,
სახე დაუმანჭია...
კაჭკაჭი თავს აკანტურებს,
მზესუმზირას აკნატუნებს.
თხუნელებმა ისაუზმეს
და როდესაც გამოძღნენ,—
თხარეს, თხარეს, მიწა ყარეს,
სტადიონზე ამოძვრნენ!
უხარიათ ქედნებს, გვრიტებს,
ტრიბუნაზე შეფენილთ,
სტადიონზე მელაკუდა
ჩამოფრინდა ვერტმფრენით.
მოედანზე შემოვიდა
გუნდი „საკურდღლეთისა“,
მელა ჩუმად იღიმება
კმაყოფილი ბედისა.
ავტობუსიც მალე გაჩნდა
„საციყვეთის“ ბიჭებით,
გადმობრძანდნენ ციყვუნები,
თავს იქცევდნენ გირჩებით:
— ნეტავ როდის დაიწყება?
მოუთმენლად ელიან...



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახატები ედუარდ აბბოკაძისა

ბურთით ხელში, ცენტრისაკენ
გუნდებს იწვევს მელია!

გაიტანა ციყვმა ბურთი,
გაახარა მთელი გუნდი,
არ ჩათვალა მსაჯმა გოლი,
ანგარიში?—ნოლით—ნოლი!

კართან გაიჭრა ციყვი,—
მოცელეს, როგორც ნიყვი;

ტრიბუნები მოითხოვენ
პენალტს,—თერთმეტრიანს:
წაუყრუა მელაკუდამ,—
ეს კი მეტისმეტია!
აიშალა ტრიბუნები:
— მსაჯო, როგორ ირჯები?!
მოსყიდულო, გაიძვერავ,
ველარ გადაგვირჩები!—
და ციყვებმა მელაკუდას
დაუშინეს გრჩები!

მსაჯი მელა ითხოვს შველას,
— ვაი, ვაის,—გაჰყვირის,
დაუფხრიწეს ხალათი და
დაუსივეს თავ-პირი.

მოიყვანეს სასწრაფო,
გადმოიღეს საკაცე,
იცრემლება მელია:
— ვერ შევხვდები ახალ წელს!

ჰერმან ფრაინბერგი

3. გორილას ოჯახი საუზმეზე

ნახატი თამაზ ხუციშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს ადრე წამოვიშალეთ და გზა განვაგრძეთ.

ირგვლივ სიწყნარე იდგა.

სიარულში შუადღე წამოვიდა. მერე უცებ ჯუნგლების სიჩუმეც დაირღვა,—ტოტებისა და ფიჩხის მტვრევის ხმა მოისმა.

— სპილოები!—აჩურჩულდა ნაანა.

ჩვენს ახლოს სპილოების მთელმა ჯოგმა ჩაიარა. უძრავად ვიდექით. როცა ყველაფერი მიწყნარდა, მალას მოწყენილ სახეს შევხედე, ვიცოდი, როგორ სძვრებოდა სული სპილოს ხორცზე, მაგრამ ამჟამად ხომ სროლა არ შემეძლო.

— ნუ ნაღვლობ მალა. შენ გორილა დაიჭირე და სპილოს ხორცი თავზე საყრელად გექნება.

— სულ მალე ნახავ, როგორ დაიჭერს ენიუს მალა,—მოუსვენრად მიპასუხა მალამ.

სუნით მივხვდი, რომ ახლოს ვიყავით გორილების ბუნაგთან, ამიტომ ენას კბილი დავაჭირე.

— არა გჯერა? მაშ კარგი!—ისევ წამოიძახა მალამ და ნაანას ხელში სწვდა.

ორივენი თვალისდახამხამებაში გაუჩინარდნენ. ცოტა ხანში თვალი მოვკარი, ხეზე მიცოცავდნენ. მაიმუნებივით დახტოდნენ ტოტიდან ტოტზე. შემდეგ ხელებით მანიშნეს საით უნდა წავსულიყავი. წინ ნელა მივიწევდი, თანდათან უფრო ძლიერდებოდა გორილას დამახასიათებელი სუნი. ცოტაც და ჯერ კიდევ თბილ ბუნაგს წავადექი, სულ ახლახან მიეტოვებინა იგი გორილას.

ლიანებით შემოზღუდული ბუნაგი ვეებერთელა ხის ქვეშ იყო. ძირს ფიჩხში და ფოთლებში არეული ხავსი ეგო.

ეს მამა-გორილას საწოლი იყო. მოხუცს ხეზე ხოხვა არ შეეძლო, რადგან ძალიან დამძიმებული ჰქონდა ტანი. შვილისათვის კი დედა ხეზე აკეთებს ბუნაგს.

ვიდრე ნაანა და მალა ხიდან ჩამოცოცდებოდნენ, შევდექით და ცოტა სული მოვითქვით. მერე ხშირნარში შევძვერით და დაველოდეთ.

ცდა დიდხანს არ დაგვჭირდა, ჯაგებიდან დედა გორილა გამოძვრა თავისი შვილით. პატარა არსებას თითი ცხვირში შეეყო და დაყუნტული მოფორთხავდა. მალე მოხუციც გამოჩნდა.



დედა მიდგა-მოდგა, საჭმელისათვის დაფაცურდა. ყველაფერი, რაც ხელთ მოხვდა, ქმრის—თავისი ბატონისა და მბრძანებლის ცხვირწინ დააწყო. თვითონ კი ჭამას ვერ ბედავდა. შიშით შესცქეროდა თავის „ბატონს". მერე ორიოდე იღლია ტყის ნაყოფი თავისაკენ გადააწყო და მოთმინებით უცდიდა შესაფერის მომენტს, რომ პატარასთვის ეჭმია.

ბოლოს გაბედა, მაგრამ მოხუცს არ გამოეპარა, შმაგივით იღრიალა და „მეუღლეს" გვარიანი სილა უთავაზა.

მამა ჭამას მორჩა. ახლა დანარჩენების ჯერი დადგა.

პატარა გაძღა და თამაში დაიწყო.

დედა უყურებდა. მერე ლიანებზე აცოცდა.

— წყალზე წავიდა!—წამჩურჩულა ნაანამ.

ვერ წარმომედგინა წყლის გულისათვის ხეზე ასვლა.

ნაანამ მითხრა, რომ გორილები არასოდეს არ სვამენ ჭუჭყიან წყალს.

ნაანა მართალი იყო. დედა გორილა ერთ-ერთ ლიანას დაეჭაჩავა და რხევა დაუწყო.

ლიანებს უხვად აქვთ წყალი. ისინი წვიმის დროს აგროვებენ წყალს. შიგნიგულში სპეციალურ ფილტრებში ატარებენ და გრძელ ფარღალალა ღეროებში ინახავენ. გორილები ლიანების ღეროებს ამტვრევენ და სუფთა, კამკამა წყლით იკლავენ წყურვილს.

დედა-გორილა კარგახანს აქნევდა ლიანის ღეროს. ვიდრე იგი არ მოტყდა,—ღეროდან წყლის მსხვილი ნაკადი არ გადმოიღვარა.

„მრისხანე ბებერმა" უმალვე განზე გასწია დედა-გორილა, ლიანის ღერო დაითრია და წყლის სმას შეუდგა.

„მრისხანე ბებერმა" წყურვილი მოიკლა და ლიანა გადააგდო. ახლა დედა-გორილა და მისი პატარა შეუდგნენ წყლის სმას.

ჭამა-სმა გათავდა. ცოტა ხნის შემდეგ დედა საჭმლისათვის ისევ გაუჩინარდა ჯუნგლებში. „მრისხანე მოხუციც" სადღაც გაჰქრა.

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა.

— აბა, მალე! ახლა შენ იცი! წავაქეზე მალა, მან შიშით შემომხედა. ის იყო მალამ ნაბიჯი გადადგა წინ, რომ თითქოს რაღაც გაახსენდაო, მობრუნდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, საიდანაც მოვიდა, იქით მოჰკურცხლა.

პატარა გორილა წამოვიყვანეთ, იგი გოგონა გამოდგა. იგყელა დავარქვით.

გერმანულიდან თარგმნა იორამ ქემერტელიძე

კალმახი

ბოტანიკური ხალხური სიმღერა

შვიდი კვირა და შვიდი დღე
კალმახს ამაოდ დევეძებდი.
ძლიერ გავწვალდი კაცი.
ვიყავი მეტად საბრალო
ჩამოხეული სამოსით
და გაწუწული საცვლით.

ტბეებშიც ვდგე, ბალებშიც
და შევიხედე ბუხარშიც,
რომ ახურებენ შეშით,
ის კიდევ იძაღებოდა
შვიდი კვირა და შვიდი დღე
თორმე მდინარის ჩქერში.

თარგმნა **ბიჟი გეგეჭკორმამ**
ნაბეჭდი **თეიმურ ჩიტრინაშვილისა**

ცეცხლი, წყალი და ლირსება

იტალიური ზღაპარი

ცეცხლი და წყალი შემოხვდა ერთმანეთს. ცეცხლი ხომ შფოთიანი ვინმეა,—ვერც ღუმელში გამოკეტავ, ვერც კერიას მიაჯაჭვავ; თვალი თუ მოაშორე, უმალ გასხლტება. არც წყალია, მაინცდამაინც, ჭკუადამჯდარი, სულ გაქცევაზე უპირავს თვალი.

ჰოდა, ერთ ადგილას რა გააჩერებდათ,—ახეტიალდნენ.

შემოეყარათ ლირსება. ლირსება მეტად ლირსეული ქალბატონია. ცუდუბრალოდ პიჯსაც არ გადაადგამს და ამიტომაც დიდად გაიოცეს ცეცხლმა და წყალმა მისი დანახვა.

— იქნებ ჩვენთან ერთად გამოსეირნება ინებოთო,—შესთავაზეს.

ლირსებამ იკითხა:—ვისთანა მაქვს პატივი საუბრისაო.

მეო, არაკრაკდა წყალი,—ბაღ-ვენახების მეგობარი ვარ, უჩემოდ ყვავილი არ ხარობსო.

თამამშად რომ უჩანს სოფლების წალეკვა, თუ ვეება ხომალდების დანაფოტება, ამაზე არაფერი თქვა.

ცეცხლმაც თავი გამოიდო:

— უჩემოდ შიმშილითა და სიცივით დაწყდება ხალხი, მჭედელი ფოლადს ვერ გამოკვერავსო.

ირწმუნა ზრდილმა ლირსებამ მათი ნათქვამი:

— რახან აგრეა, ერთად გავწიოთ!

— მოიცათ!—შესძახა ცეცხლმა,—რომელიმე ჩვენგანი რომ ჩამორჩეს, ან გზა აებნეს, დავთქვათ, როგორ მოვძებნოთ ერთმანეთიო. მე, მაგალითად, კვამლით მიპოვნითო.

— მე ბაღჩა-ბაღებში მეძებეთო,—წამოიძახა წყალმა.

ბოლოს სიტყვა ლირსებამ დასძრა:

— მე სულ სხვა თვისება მაქვს; გაფრთხილდით, არსად დაგეკარგოთ, თორემ მერე ვეღარსად მიპოვნითო.

გადმოაქართულა **ედიშერ გიორგაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამსვლელი პაიკი

ქიში და შამათი

როცა მეფეს „მოსაკლავად“ ემუქრება მოწინააღმდეგის რომელიმე ფიგურა, ეს ფიგურა მას „ქიშს“ უცხადებს.

მეფე ცდილობს თავი გაარიდოს ქიშს. ამისთვის კი, შეძლებისდაგვარად, სამი გზა არსებობს:

1) დატოვოს მოწინააღმდეგის ფიგურის მუქარის ქვეშ მყოფი უჯრა და გადავიდეს სხვა თავისუფალ უჯრაზე.

2) აიყვანოს (მოკლას) ფიგურა, რომელიც ქიშს უცხადებს.

3) წინ აიფაროს თავისი რომელიმე ფიგურა, ესე იგი ქიში „გადაკეტოს“.

თუ მეფეს არ შეუძლია თავი დააღწიოს ქიშს, მაშინ მას „შამათი“ აქვს. (იხილეთ პირველი დიაგრამა: შავი მეფე დაშამათებულია, გაიმარჯვეს თეთრებმა).



პატი. ყაიმი

თუ მეფეს არა აქვს ქიში გამოცხადებული, მაგრამ არც თვითონ და არც სხვა რომელიმე თავისი ფიგურით სვლის გაკეთება არ შეუძლია, ასეთ შემთხვევაში პატია, ესე იგი, თამაში ყაიმით მთავრდება. (იხილეთ მეორე დიაგრამა).

ბრძოლა ყაიმით მთავრდება აგრეთვე:

1) როცა დაფაზე მხოლოდ მოწინააღმდეგეთა მეფეებიღაა დარჩენილი.

2) როცა ორივე მხარე იმეორებს ერთსა და იგივე სვლებს (სამჯერ).

3) როცა ერთ-ერთი მხარე მეორეს მუდმივ ქიშს უცხადებს.

4) როცა მოწინააღმდეგეებს არ გააჩნიათ ძალები მეფის დასაშამათებლად.



შოთა ინწკირველი

ამოცანა

ეკას ჰაწია ჩანთაში
ჩხრიალი გააქვს კაკალს.
თუ რვა ცალს მისცემს ჰაჰუნას,
ერთით ნაკლებს კი—მაკას;
მაშინ თავისთვის დარჩება
მაკაზა ორით მეტი.
აბა, რამდენი ჰქონია,
რომელი უმალ მეტყვის?!

შოთა ამირანაშვილი



შეავსეთ ცარიელი უჯრედები საქართველოს ტბების სახელწოდებით.

შეადგინა ზუგდიდის რაიონის სოფ. როხის საშ. სკ. მოსწავლემ **ნ. ჯანაშიამ.**

შეადგინა ქ. ქუთაისის საშ. სკ. მოსწავლემ **გიული მშვილდაძემ.**



ეროვნული ბიბლიოთეკა





19447



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: კუკური გოგიაშვილი, ლეილა ერაძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯიმშერ მუჯირი, იორამ ქემერტელიძე (პ/მგ მდივანი), შალვა ცხადაძე (სამხ. რედაქტორი), რობერტ დარიბაშვილი, გივი ძნელაძე.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

Издательство ЦК КП Грузии

საქ. ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი.
ყდაზე ნახატი ზურაბ ფორჩხიძისა. გამოცემის 47-ე წელი.

ტექრედაქტორი ბ. როინიშვილი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნო — 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 22/V-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/VII-74 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/16, ფიზ. ნაბ. თაბ. 2,5, ტირაჟი 159.700 შეკვ. № 1963. „Дила" № 8. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.

ნ. 39/162

76055

„დედოფალა“—ნახ. მანანა ხარატიშვილისა, ქ. ორჯონიკიძე.
„ზაფხული“—ნახ. ეკა ჩიქოვანისა, 6 წ. თბილისი.
„გოგონა ყვავილებთან“—ნახ. ინგა კობიძისა, 6 წ. თბილისი.
„მზის ჩასვლა ზღვაზე—ნახ. კახა ავალიანისა, თბილისი.
„დათუნია“—ნახ. ნინო გოგელიანი, 6 წ. თბილისი.
„ყვავილები“—ნახ. ვერა მიქაშვილისა, 9 წ. თბილისი.